№ 197 სექტემბერი 13, შაბათი 1886 სექტემბერი 13, შაბათი № 197

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 7 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაყვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა [illegible] წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

**გაზეთი „ივერია“ 1-ლის სექტემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 4 მ. 75 კ.**

კვირას, 14 ენკენისთვეს

არწრუნისეულ თეატრში წარმოდგენილი იქნება

**ქართველის დრამატიულის დასისაგან:**

I

ეხლანდელი სიყვარული

კომედია 4 მოქმედებად, რუსულიდამ გადმოღებული.

II

**„მიროვოი სუდში“**

სცენა დავ. სოსლანისა

მოთამაშენნი: ქქ. გაბუნია, საფაროვისა-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა; ბატ. აბაშიძე, ალექსეევ-მესხიევი, ნებიერიძე, მაქსიმიძე და სხვ.

ანტრაქტებში ბაღი იქნება გაღებული და გაჩაღებული.

დასაწყისი 7½ საათზე.

ტფილისი, 12 სექტემბერი

უფრო მომეტებული ნაწილი ხიზნებისა ტფილისის გუბერნიაში შერევნილს გადასახადს იხდიან. ამისთანა ხიზნები 4400 კომლია, რომელნიც ტყისა და საძოვრისათვის იხდიან 4—5 მანათამდე კომლზედ და სახნავ-სათიბ მიწებზედ და ვენახებზედ ღალასა და კულუხსა სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა ზომით. ამ გვარნი ხიზნები არიან: 1) გორის მაზრაში 2455 კომლი. ამათ უჭირავთ სახლ-კარის ადგილი 498 დესეტინა, სახნავი 9527 დესეტინა, სათიბი 168 დესეტინა და ვენახები 8 დესეტინა. ამათში 94 კომლი იხდის წინანდებულ ღალასა და კულუხსა ერთს მეექვსედს ნაწილს მოსავლისას; 194 კომლი იხდის ერთს მეხუთედს და დანარჩენები ან მეოთხედს იძლევიან, ან დღიურზედ ორ კოდნახევრიდამ სამ კოდამდე;*) აქ თითო კომლზედ მოდის თითქმის ერთი მეხუთედი დღიურისა სახლკარის ადგილი და ოთხ-ოთხ დღიურზედ ცოტა მეტი სახნავ-სათიბი. ღალა და კულუხი მოსდით არა ნაკლებ ერთის მეექვსედისა და არა უმეტესს ერთის მეოთხედისა მოსავლიდამ. 2) დუშეთისაში—651 კომლია. ამათ უჭირავთ 82 დესეტინა სახლ-კარის ადგილი, ვენახები 54 დესეტინა, სახნავ-სათიბი 2340 დესეტინა. ორთა შუა რიცხვით კომლზედ ექვს-ექვსი დღიური და ცოტა მეტი მიწა მოდის. აქ მარტო 21 კომლი იხდის ღალად მოსავლის ნახევარსა და დანარჩენები არა უმეტეს ერთის მეოთხედისას იხდიან, ბეგარის გარდა. 3) თიანეთისაში 142 კომლია. აქ, ჩვენდა სამწუხაროდ, მთავრობის მიერ შედგენილ სიაში არ არის მოყვანილი, შერევნილ გადასახადის მხდელთ ხიზნებს რაოდენი მიწა უჭირავთ და გადასახადის თაობაზედ კი დანიშნულია, რომ ღალა ერთს მეოთხედს მოსავლისას არ აღემატებაო და საძოვრისათვის კი გადასახადად ერბოა დაწესებულიო.*) 4) ტფილისისაში—336 კომლია. ამათ უჭირავთ 35 დესეტინამდე სახლ-კარის ადგილი, 12 დესეტინამდე ვენახები და 751 დესეტინა სახნავ-სითიბი მიწა. აქ თითო კომლზედ მოდის თითქმის თითო მეხუთედი სახლ-კარის მიწა და თითქმის ხუთ-ხუთი დღიური სახნავ-სათიბი. ღალად ერთი მეოთხედია მოსავლისა. 5) ბორჩალოსაში 815 კომლია. ამათ უჭირავთ 104½ დესეტინა სახლ-კარის ადგილი და 3603 დესეტინა სახნავ-სათიბი. აქ კომლზედ მოდის თითქმის ერთი მეოთხედი დღიურისა სახლ-კარის ადგილი და თითქმის რვა-რვა დღიური სახნავ სათიბი. ღალას ერთ მეათედს მოსავლისას იხდის 79 კომლი, ერთს მეექვსედს ორი კომლი, ერთს მეხუთედს 17 კომლი და დანარჩენები კი ერთს მეოთხედსა.

ამ სახით მთავრობის მიერ შეკრებილ ცნობებიდამ სჩანს, რომ ტფილისის გუბერნიაში საცა ღალას ფულად იხდიან, იქ დესეტინაზედ მოდის ორ მანათ და ხუთ შაურიდამ სამ მანათ და ცხრა შაურამდე; საცა ხიზნები მოსავლის წილზედ არიან, ეგ წილი ერთი მეათედიდამ ერთ მეოთხემდე ადის. უფრო ხშირი და გავრცელებული ერთი მეოთხედია და მთელს გუბერნიაში მარტო 21 კომლია ნახევრის მძლეველი, 79 კომლი ერთის მეათედისა, 2 კომლი მეექვსედისა, 17 კომლი მეხუთედისა და დანარჩენი მეოთხედისა. სულ, რაც მამულების მჭერელნი ხიზნები არიან ფულად მხდელნი თუ შერევნილის გადასახადისა ტფილისის გუბერნიაში შეადგენენ 5977 კომლსა. ამათ უჭირავთ 1023 დესეტინა სახლ-კარისა და ვენახების ადგილი და სახნავ-სათიბი 25,097 დესეტინა. ორთა შუა რიცხვით კომლსა ჰხვდება 408 ოთხ კუთხედი საჟენი სახლ-კარის მიწა (ვენახებსაც შიგ ვანგარიშობთ) და რვა-რვა დღიური და ერთიმეექვსედი სახნავ-სათიბი.

---

*) სამ-სამ ფუთიანი კოდი რომ ვიანგარიშოთ.

*) წინა წერილში მოხსენებული არ იყო, რომ თიანეთის მაზრაში სულ 320 კომლი ხიზანია.

## ახალი ამბავი

⁂ ყოვლად საზარელი საცოდაობა დატრიალდა გუშინ დილის 9 საათზე ლაბორატორის ქუჩაზე, საცა კოვალენკოს სახლებს აშენებენ. საქმე ის არის, რომ საძირკველი გაუჭრიათ ვილაც აკოფოვის ძველის სახლის კედლის ძირში და ისე ღრმად გაუჭრიათ, რომ, თუმცა ჯინჯიბახები ჰქონია შედგმული, ძველ კედელს დაუქუხნია და სულ ერთიანად ჩამონგრეულა ერთს საჟენზე გაჭრილს საძირკველში, საცა ამ დროს სხვათა შორის ორი მუშა თურმე მუშაობდა. ჩამონგრეულმა კედელმა დაიტანა ეს ორი მუშა და ზედ თითქმის ხუთის არშინის სიმაღლეზედ დადგა გროვა კედლის ნანგრევისა. ტირილი და ვაება ცოცხლად დამარხულთა ნათესავებისა, რომელნიც იმავ საძირკველის გათხრაზე მუშაობდნენ, გულს უწუხებდა გარშემო შეგროვილს ხალხს. დედა-კაცები ხმა-მაღლა სტიროდნენ საცოდაობით. იმ წამსვე მიჰყვეს ხელი თხრას. ნახევარ საათი სთხარეს, მაგრამ არსად არა გამოჩნდა-რა. მუშებს მოეშველნენ ცეცხლ-მქრობელთა რაზმის ჯარის-კაცნი ნიჩბებითა და რკინის კეტებითა. მუშაობა გაცხარდა. გავიდა კიდევ ნახევარ საათი. ყველამ იმედი გადაიწყვიტა, რომ ცოცხლები აღარ იქმნებიან მიწის ქვეშ მოყოლილნიო. მაგრამ აი ცოტა კიდევ და შეიქნა სიხარულის ყი-

## ფელეტონი

### უცხოეთა შორის

რა არის ყველაზე უძვირფასესი საუნჯე კაცისათვის ამ წუთის სოფელში? — როგორ პატივსა სდებდნენ ძველს დროს ამ საუნჯეს? — ასის წლის მოხუცი მეცნიერი შევრელი.—რათა სცემს დღეს ამ მოხუცს დიდს პატივს საფრანგეთი?—სამოც-და-ათის წლის „ბალღი“.—როგორ შეინახა ასის წლის მოხუცმა მთელი ჯანი და სრული გონება?—რა უპასუხა საფრანგეთის პრეზიდენტმა გრევიმ შევრელსა?—ჩინეთის დეპუტაცია.—ჩინეთის 106 წლის მეცნიერი.—უცნაური ინგლისელი და მისი უცნაური დღესასწაული.—რა აზრი აქვს ამ ინგლისელს გაზეთებზე?—გაზეთის მნიშვნელობა საზოგადოდ.

სიცოცხლე ერთი უძვირფასესი საუნჯე, უძვირფასესი განძია ადამიანისთვის ამ წუთი სოფელში. ძველს დროში ეს ყველას კარგად ესმოდა და ამიტომ დიდს პატივსაც სცემდნენ ამ წუთიერ, ზეცით მომადლებულს საუნჯეს. ბერძნების მითოლოგია მოგვითხრობს, რომ, როდესაც ოდისეიმ, თავის ხანგრძლივ მოგზაურობის დროს, ქვესკნელიც მოიარა და გარდაცვალებულთა აჩრდილთა შორის გამოჩენილის აქილევსის აჩრდილი დაინახა, რომელიც ბრწყინვალე დიდებით და პატივით იყო გარემოსილი, აღტაცებით წამოიძახა თურმე: „ბედნიერი ხარ გმირთა-გმირო, აქილევსო, რომ ასეთი დიდება და პატივი გაქვსო!“

— არა,—უპასუხა გულ-ამოსკვნით აქილევსმა, ბედნიერი ის არის, ვინც იქ, ქვეყანაში დარჩა, ვინც ყოველ დღე მზის სხივებს უცქერის, ვინც ქვეყნის სიცოცხლით სტკბება; აქ დიდებასა და პატივს, იქ მეღორობას ვირჩევდიო.

ასე მაღლა აყენებდნენ ძველ დროში წუთი-სოფლის სიცოცხლეს, ასე ძვირფასად მიაჩნდათ ეს საუნჯე! ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ცდილობდნენ ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქონოდათ. ჩვენ ვკვირობთ ეხლა და საარაკო ამბად მიგვაჩნია, როცა ვკითხულობთ, რომ ძველ დროში იშვიათი არ იყო კაცი ასის წლისა და მეტისაცა. ან კი როგორ არ გაიკვირვებთ, როდესაც ჩვენს გახრწნილ, დავრდომილ მეცხრამეტე საუკუნეში ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე მართლა რომ სასწაულად უნდა ჩაითვალოს. კაცობრიობა დღეს ისე დაუშორდა ბუნებას, ისეთ მძიმე უღელში შაება, ისე გაშმაგებული ებრძვის ცხოვრებას, ისე იძრწვის საზდოს მოსაპოვებლად, ისე წინდაუხედავად ჰლევს თავის ძალასა და ღონეს, თითქოს განგებ ესწრაფებოდეს ამ წუთი-სოფლის ცხოვრებას. ამიტომ სასწაულად მიაჩნიათ დღეს ხანგრძლივი სიცოცხლე; ამიტომ თითით საჩვენებელნი გახდნენ დღეს ის ბედნიერნი, რომელთაც ცხოვრების გზა ისე გაუვლიათ, რომ ას წლამდინ მიუხწევიათ. ასეთ ბედნიერ კაცად უნდა ჩაითვალოს საფრანგეთის გამოჩენილი მეცნიერი, ქიმიკოსი შევრელი.

⁂

დღეს მთელ პარიჟში შევრელის სახელი გაისმის, გაზეთები შევრელზე ლაპარაკობენ. მთელი პარიჟი პატივით იხსენიებს ამ კაცსა, დიდის ამბით დღესასწაულობს ამ მეცხრამეტე საუკუნის მათუსალას დაბადების დღეს. წარსულს კვირას შევრელი ასის წლისა შესრულდა! ასი წელიწადი სიცოცხლე საფრანგეთში! რა არა ნახა, რა არ გამოიარა საფრანგეთმა ამ ასის წლის განმავლობაში! რამდენჯერ უცვლია ფერი საფრანგეთს, რამდენჯერ დაუბერია საშინელს ქარიშხალს და ძირამდინ შეურყევია ეს ქვეყანა, რამდენი თაობა წაულეკია, რამდენი სიცოცხლე შთაუნთქავს ცხოვრების აღშფოთებულს მორევსა! შევრელი ყველა ამის მნახველია, შევრელმა ყველა ამას გაუძლო. და აი დღეს საფრანგეთის წინაშე სდგას საფრანგეთისავე წარსულის ცხოვრების ცოცხალი მოწამე, დგას, ჯანით მრთელი, სულით ძლიერი და სიცოცხლით სავსე, როგორც ჭაბუკი. ბედნიერია ასის წლის ჭაბუკი!

⁂

ჩვენ ის კი არ გვაკვირვებს, რომ კაცმა ასი წელიწადი იცოცხლა. ეს კიდევ ისე არ არის გასაოცარი: თუმცა ხშირად არა, მაგრამ გაზეთებში მაინც შევხვდებით ხოლმე, რომ აქა და აქ ასის, ას-ოცის წლის კაცი სცხოვრებსო. მაგრამ ჯერ ერთი ვაი ამისთანა სიცოცხლეს: კაცი სიცოცხლის აჩრდილს-ღა წარმოადგენს, ხორციელადაც და სულიერადაც დავრდომილა. მეორე, ამისთანა ხანგრძლივს სიცოცხლეს ხშირად უფრო სადმე მივარდნილ, მიყრუებულ ადგილს შეჰხვდებით, იმისთანა ადგილას, სადაც არც ქვეყნის წუხილი და ტკივილი, არც გამწვავებულ ცხოვრების ტანჯვა და ვაგლახი არ არყევს კაცის მყუდრო, თავ-აუტკივარ და უზრუნველ ცხოვრებას.

სრულიად სხვაა შევრელის საქმე. შევრელი ღვიძლი შვილია პარიჟის; შევრელს ბევრი განსაცდელი, თავგარდასავალი გამოუვლია თავის სიცოცხლეში; შევრელი საფრანგეთის ისტორიის მნახველია მეცხრამეტე საუკუნეში!

შევრელი მეცნიერია, გამოჩენილი ქიმიკოსი. შევრელს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში წიგნი ხელიდამ არ დაუგდია, სწავლისთვის თავი არ დაუნებებია, გონება არ შეუსვენებია.

⁂

მით უფრო გვაკვირვებს ასის წლის შევრელი, რომ ასეთ ღრმა მოხუცებაში მთელი ჯანი და სრული გონება შეჰრჩენია. ამ ხნის მოხუცს სამის დღის განმავლობაში პარიჟელები და სხვა ქვეყნების დეპუტაციები მოსვენებას არ აძლევენ; შევრელს ულოცავენ ბედნიერ მოხუცებას, სიტყვას-სიტყვაზე ეუბნებიან; შევრელი ყველაფერს ისმენს, მადლობას უხდის, ელაპარაკება და ამასთან დაღლილობას, დაწყვეტას თითქოს არც კი იმჩნევს. ამასთან მოხუცი თავის ჩვეულობას არ გადადის, ცხოვრებას არა სცვლის, დაწესებულ დროზე იძინებს, დაწესებულ დროზე იღვიძებს.

ერთ დილას შევრელმა თავის შვილის ოთახში გაიარა და ნახა, რომ შვილს სძინავს. „ბალღო აღარ ასდგები! არა გრცხვენიან ამდენი ხანი გძინავსო!“—ეუბნება მამა შვილსა.

უნდა იცოდეთ, რომ შევრელის შვილი 70 წლის ბალღია. მართლა რომ კაი „ბალღი“ ყოფილა!

⁂

ერთი საფრანგეთის გაზეთი აკვირდება შევრელის სიცოცხლეს და ამბობს: „ვინ იცის, იქნება შევრელმა ორას წლამდინაც იცოცხლოსო. თუ

ვილ-ხივილი: უცებ გამოჩნდა ერთის მუშის ხელი. ხელის შემდეგ თავიც გამოჩნდა. მუშის სახეს მოჰკრა თვალი მისმა ძმამ, რომელიც საშინლად ჰღმუოდა და ჰგმინავდა იქვე და მორთო საშინელი ტირილი. საცოდავს მიწაში ჩაფლულს მუშას მალე შეეტყო, რომ ცოცხალი იყო და თავი სრულიად მთელი ჰქონდა. ამ დროს უკვე ხალხით იყო გავსებული გარეშემო ადგილები. პოლიცმეისტერიც აქვე იყო. დაიძახეს წყალი, მოიტანეს ნიშადურის სპირტიცა და მოასულიერეს მუშა. ექიმი-ქალიც გზაში ეპოვნა პოლიციელს და, თუმცა ცოტა დაგვიანდა, მაგრამ მაინც დროზედ მოასწრო და შეელა მისცა. ჯარის-კაცნი და მუშები კიდევ მუშაობდნენ მეორე მუშის გადასარჩენადაც. მეთერთმეტე საათი დაიწყო, რომ მეორე მუშა ჯერ კიდევ ვერ ამოაჩინეს. კიდევ უთხრიათ ორ საათამდის. მეორეც უპოვნიათ, მაგრამ მკვდარი ყოფილა და ველარ მოუსულიერებიათ. პირველი მუშა სამკურნალოში გაუგზავნიათ, რადგან დაქექილი ყოფილა.

⁂ ქალაქში ხმა გავარდა, რომ მიხაილოვის ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს ახლოს, გ. ქართველიშვილის სახლში, რომელიც ახლად შენდება, ნავთი აღმოჩენილაო. ეს ხმა მართალი გამოდგა. ნავთი ახალის სახლის სარდაფში გამოჩენილა. კედელს ქვეშ, ქუჩის მხრიდამ, წყალი გამოდის. პირველის დახედვით კაცი ვერც კი შეატყობს, რომ წყალი კედლის ქვეშ გამოდის. სარდაფში მხოლოდ სამი პატარა გუბე დგას და აი ამ გუბეებში წყალი ზემოდამ ნავთ იგდებს. ამ დღეებში ორი ბოთლი ნავთი მოუხდიათ და გაუსინჯავთ,—ნავთი საუცხოვო გამომდგარა, პირ-და-პირ გაუწმენდავი, გამოუხდელი ისე იწვის, როგორც გაწმენდილი, საწვავი ნავთი, რომელიც დუქნებში ისყიდება. ერთი ბოთლი აფთიაქში გაუგზავნიათ, რომ ქიმიურად გამოიკვლიონ. ეს ადგილი და ნავთი ინჟინრისთვისაც უჩვენებიათ. რამდენად მართალია, არ ვიცით, და გარდმოგვცეს კი, რომ ვითომ ინჟინერს ეთქვას: „ეს ნავთი ისეთის ღირსებისააო, რომ ფუთი ოთხი თუმანი ეღირებაო.“ სამწუხაროდ, ის კი ვერ შევიტყვეთ, გაუგიათ თუ არა, სადა აქვს ამ ნავთის წყაროს სათავე, ბლომად ამოვა ნავთი, თუ არა.

ძალიან კარგი იქმნებოდა, რომ ბ-ნ ქართველიშვილმა ყური არ მიუყროს ამ საქმეს და ხელიდამ არ გაუშვას ის სიმდიდრე, რომელიც სწორედ რომ თითონვე კარზე მისდგომია.

⁂ ორშაბათს, 15 სექტემბერს საქალაქო საბჭოს სხდომა აქვს და უნდა განიხილოს სხვათა შორის შემდეგი საგნები: აზრი ტფილისის გუბერნატორისა, რომ სახლის ქირა მიემატოს ტფილისის ჟანდარმებთ გამგეობას. მოხსენება გამგეობისა, რომ კიდეც გადაიდოს ფული პოლიციისა და ცეცხლ-მქრობელთა რაზმის საჭიროებათათვის წარსულის 1 ივლისიდამ მომავალს 1 იანვრამდე და სხვანი.

⁂ ყაზახის მაზრის უფროსი თარხნიშვილი სწერს გაზეთს «ნოვოე ობოზ.»-ეს, რომ თქვენ გაზეთში ტყუილად იყო მოხსენებული, «ნორდარიდამ» გადმობეჭდილი ცნობა, ვითომ ქიარიმას რაზმს მიუამხანაგდა ქიარიმას ძმაცაო. ქიარიმას სულ ორი ძმა ჰყავს და ორთავენი ამ ჟამად ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებით ყაზახის ციხეში არიან დამწყვდეულნიო.

⁂ მართალია, რუსეთის ნავოსნობის საზოგადოებას კი აუთვალწუნებია ქალაქი ფოთი, მაგრამ სხვაფრივ-კი კარგი საქმე მოსვლია ბათუმის პორტო-ფრანკოს გაუქმების შემდეგაო. ზემოხსენებულს რუსულს გაზეთს სწერენ ფოთიდამ, რომ ბევრს ვაჭარს განზრახვა აქვს თავისი ვაჭრობა და სავაჭრო კანტორა მოშალოს და აქ ჩვენს ფოთში გადმოიტანოსო. ფასმა სახლებისამ ფოთში უკვე აიწიაო. ოც თუმნიანსა და ოც-და-ათ თუმნიან სახლებს ორმოცადა და ორმოც-და-ათად ძლივს-ღა შოულობენო. აქ უნდათ გადმოიტანონ ახალ-სენაკიდამ სასულიერო სასწავლებელიო. გამგებელი ობერ-პროკურორის პობედონოსცევის კანცელარიისა საბლერი უნდა მოვიდეს აქ და გადასწყვიტოს, ივარგებს თუ არა ფოთში გადმოტანა სასულიერო სასწავლებლისა, თუ ჰავითა და თუ წყლითა. ამავე საგანზე 23 სექტემბერს იქნება ფოთში კრება სამეგრელოს სამღვდელოებისაო. საქალაქო გამგეობამ კიდეც გადასწყვიტა ამას წინად, რომ 1 იანვრიდამ დაიქირაოს სასულიერო სასწავლებლისათვის ის სახლები, რომელშიაც კლუბია ამ ჟამადა, წელიწადში 1500 მანათადაო, სამის წლის ვადით. ამ ქირის გასტუმრება უტვირთნია თვით ქალაქს თავის ხარჯითა. თუ სასწავლებელი მართლა გადმოიტანეს, ქალაქს სახლი მზად ექმნებაო. აქ შეუდგნენ აგრეთვე სახლის აშენებას გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზისათვის და მის კანცელარიის მოსათავსებლადაო.

⁂ რაკი გემი «Вѣра» ლამპის მიზეზით დაიწვაო, ამბობს გაზ. «კასპი», ეხლა „კავკაზისა და მერკურის“ საზოგადოების გემები განათდებიან ხოლმე კარტოფილის სანთლებითაო.

⁂ იმერეთში ძალიან შეუყრია ნაცარი ვაზისათვის. ამბობენ, რომ ზოგან სულ არ მოვა წელს ღვინოვო. გაზ. „კავკაზი“ ჰკვირობს, რატომ არა სცდილობენ, რომ ებრძოლონ ნაცარს გოგირდის შემწეობითაო. მაგრამ გოგირდით ბრძოლა ნაცართან აგრე იაფად არ დაუჯდება ხალხსა. იქნება თვით ღვინო აღარც კი ჰღირდეს იმათ, რაც გოგირდსა და იმის შეყრაზე დაიხარჯება. ამას გარდა, გოგირდის ხმარება კიდევ ადვილია „დაბლარში“, მაგრამ საცა „მაღლარია“, იქ აგრე ადვილი არ იქნება. გაზეთს რომ გაუგონია, კახეთის ზოგიერთი მემამულენი ჰხმარობენ გოგირდს ნაცრის წინააღმდეგაო, ეგ სულ სხვაა, კახური და იმერული ღვინო ერთმანერთზედ შორი-შორს არიან და რასაც ერთის მოვლისა და დაყენებისათვის კაცი დაჰხარჯავს, მეორესათვის—ადვილად ვერ გაჰბედავს.

⁂ უმაღლესს მთავრობას შეუწყნარებია სამოსამართლო პალატის უფროსის თავს-მჯდომარის აზრი მირიმანოვის სახლების სყიდვის თაობაზედ ხაზინის ხარჯით ოლქის სასამართლოსა და სამოსამართლო პალატისათვის. მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ მირიმანოვს მიეცეს ამ სახლებში სულ 350,000 მან. ასე გაგვიგონეთ ჩვენაო, ამბობს გაზ. „კავკაზი“.

⁂ ამას წინად ჩვენ მოვიხსენეთ, რომ კუკიის ხიდის ყურთან, მტკვრის პირის ქუჩაზე საშინელი ცუდი სუნი სდგასო. ეხლა გაზეთი „კავკაზი“ ამბობს, რომ ცუდი სუნი ტრიალებს მთელს კუკიის ხიდზედაო. ამის მიზეზი თურმე ისა ყოფილა, რომ დაბლებს გაუმართავთ თავიანთი დუქნები მადათოვის კუნძულზე და აშრობენ ტყავებსაო. ეს სუნიც ამ ტყავების გამო უნდა იყოსო. ნუ თუ მართლა შესაძლებელია, რომ შიგ შუაგულ ქალაქში, ისეთს ალაგას, როგორიც არის კუკიის ხიდი, ტყავებს აშრობდნენ და დაბლები მუშაობდნენ. ეს სწორედ დანაშაულობაა ქალაქის მცხოვრებთა წინაშე იმისა, ვისაც ჰმართებს ამაზე ზრუნვა.

## დამაკვირდი!

პატიოსანი იგია, ვინც იმოდენა სიკეთესა იქმს, რამოდენიც შეუძლიან.
(დელ-ლ.)

**

კაცი, მწუხარებისაგან ძლეული და დამხობილი, კაცი არღა არის. (ალცი.)

**

სიმდიდრის ფასს მაშინ შეიტყობენ ხოლმე, როცა შეიძენენ და მეგობრის ფასს კი მაშინ, როცა დაჰკარგვენ.
(პეტი-სენნი)

**

რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაახნდების,
სამშვილიშვილო გარდაიცემის.
(ნ. ბარათაშვილი)

**

ხელში საჭერი კეთილი
შეგვექმნა საქმნელია. (დ. გურამიშვილი)

**

იგი მენდოს სოფელსა,
ვინცა თავისა მტერია. (შ. რუსთაველი)

**

ბოროტი რამე სენია
თვით რჯულობისა ქადილი,
მაგნებელია თვისისა
ნების შედგომა, წადილი. (არჩილ მეფე)

**

მდიდარო, საწყალთ მახედე,
იყიდე გლახაკთ გულია,
იცან, საუნჯე სოფლისა
წასავლად გაბარგულია. (მეფე ვახტანგ VI)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

უცნაური, გაუგებარი ცვლილება მოხდება ხოლმე ხანდახან დიდ სახელმწიფოთა ურთიერთ განწყობილებაში . მაგალითად, გაზეთ „Московскія Вѣдомости“-ს სტამბოლელი კორრესპონდენტი გვარწმუნებს,

> რომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის დღეს დიდი მეგობრობა არის ჩამოვარდნილიო. წარსულს კვირას ნელიდოვს, რუსეთის წარმომადგენელს, ხელმწიფე იმპერატორის წერილი გარდაუცია სულთანისთვის; წერილი დღევანდელ ბოლგარიის საქმეებს შეეხება და დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაცა აქვსო.

ერთის სიტყვით, ოსმალეთის საზოგადოებაც, ჟურნალ-გაზეთობაც ისე მეგობრულად უყურებს რუსეთსა, რომ რუსეთისა და ოსმალეთის შორის მტკიცე და ხან-

---

ეს სასწაული შესაძლოა, ვისურვებთ, რომ სასწაული შევრელს აუხდესო, ამაზედ ღირსეული კაცი სხვა ვერავინ მოიპოვებაო.“

რა ისეთი ჯადოები სცოდნია ამ კაცს, რომ თავი ასე შეუნახავს? რა საშუალება მოუგონია, რა საიდუმლოსთვის მიუგნია? ამ საიდუმლოს საფლავში თან წაიღებს, თუ ქვეყანას აუწყებს, რომ სხვებსაც შეეძლოთ მოიპოვონ ეს ძვირფასი საუნჯე—ხანგრძლივი სიცოცხლე?

შევრელს ბევრმა ჰკითხა ეს, მაგრამ, სამწუხაროდ, რიგიანი და დალაგებული პასუხი ვერავინ მიიღო. შევრელი ამბობს: ჩემ ხანგრძლივ სიცოცხლეს იმას ვაბრალებო, რომ ჩემ სიცოცხლეში ღვინოს არ მივკარებივარო, თევზი და ზოგიერთი მწვანილი გემოთი არ მინახავსო. ზომიერი და წესიერი ცხოვრება მიყვარდა და რაც ერთხელ ჩვეულებად გავიხადე, ჩემს სიცოცხლეში ამ ჩვეულებას აღარ გადავსულვარო.

რასაკვირველია, ასეთი პასუხი ვერავის დააკმაყოფილებს. მართლა და საკმაო არ არის ღვინის უსმელობა, თევზის და ზოგიერთ მწვანილის უჭმელობა, რომ კაცმა ხანგრძლივ და ჯან-მთლად იცოცხლოს. საფრანგეთის პრეზიდენტს, გრევის სამართლიანად უთქვამს შევრელისთვის: „თქვენს ხანგრძლივს სიცოცხლეს და ჯან-მთელობას იმითი ჰხსნით, რომ ჩემს დღეში წვეთი ღვინო არ დამილევიაო; მე კი, დაუმატა თურმე გრევიმ, ჩემს სიცოცხლეში ღვინის მეტი სხვა არა მისვამს რა, მაგრამ იმედი კი მაქვს, რომ მეც თქვენ ხნობამდე მივაღწევო.“

პარიჟის გაზეთები გვარწმუნებენ, რომ შევრელი აპირებს თავის ცხოვრების დაწვრილებით აღწერას და, ცალკე წიგნადაც გამოსცემსო. ნეტავი არ იქნება! ამით დიდს სამსახურს გაუწევს შევრელი მთელ კაცობრიობას; ბევრს საყურადღებო და გამოსადეგ ცნობას ამოიკითხავს კაცი ამ წიგნიდამ. დიდი ცოდვა იქნებოდა, შევრელს თავის საიდუმლო საფლავში თან წაეღო.

⁂

როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, პარიჟში ბევრი დეპუტაციები მოვიდა შევრელის მოსალოცავად. სხვათა შორის ჩინელებიც ბძანდებოდნენ, ჩინელებმაც არ დაივიწყეს საფრანგეთის მოხუცი მეცნიერი. ჩინეთის წარმომადგენელმა გრძელი და მჭევრი სიტყვა უთხრა შევრელს, დიდი ქება და დიდება შესხა მოხუცსა, მაგრამ ამასთან ჩინეთი და ჩინეთის მეცნიერებიც არ დაივიწყა. ჩინეთის წარმომადგენელმა თავ-მოწონებით მოაგონა შევრელს, რომ მარტო საფრანგეთი არ არის ისეთი ბედნიერი ქვეყანა, სადაც ღრმად მოხუცი მეცნიერი მოიპოვებაო. ჩინეთსაც შეუძლიან თავ-მოწონებით სთქვას, რომ ჩვენცა გვყავს ხნიერი მეცნიერნიო. აქ ჩინეთის თავმოწონებულმა შვილმა დაასახელა ერთი 106 წლის მოხუცი ჩინელი, რომელმაც მხოლოდ ამ წელს მიიღო თურმე სამეცნიერო ხარისხი დოქტორობისა.

მართლა რომ თავი უნდა მოჰქონდეთ ჩინელებს. რა ცოდნით და სიბრძნით უნდა იყოს აღჭურვილი ის კაცი, რომელიც ას წელიწადში ძლივს ეღირსა და დოქტორობა მიიღო. მართლა და თავ-სამტვრევი რამ ყოფილა ეს ჩინური დოქტორობა. აბა რა პატივს დასდებენ ჩინელები ჩვენს მეცნიერებს, რომელნიც ოც-და-ათის წლისანი ასწრობენ დოქტორობის ხარისხის მიღებას?!

⁂

ამ დროს, როდესაც საფრანგეთში ასეთის ამბით დღესასწაულობდნენ შევრელის ას-წლოვანობას, ინგლისშიაც დღესასწაული იყო. მხოლოდ ამ დღესასწაულს სრულიად სხვა ხასიათი ჰქონდა. ერთმა შეძლებულმა და განათლებულმა მოხუცმა ინგლისელმა დიდი წვეულობა გამართა თავის სახლში. პურად მასპინძელთან დიდ-ძალი ხალხი შეიყარა. მოწვეულნი უმეტესს ნაწილად ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და თანამშრომელნი იყვნენ. როდესაც ხალხი სრულიად შეიკრიბა, მოხუცი მასპინძელი წამოდგა და შემდეგის სიტყვით მიჰმართა თავის სტუმრებს:

„თქვენ ყველა იკითხავთ, რასაკვირველია, რად მოგიწვიეთ მე თქვენ დღეს აქ. აი, ბატონებო! დღეს სწორედ ორმოც-და-ათი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც მე პირველად გაზეთი წავიკითხე. მას უკან ნახევარ საუკუნემ გაიარა. ამ ხნის განმამაელობაში მე გაზეთი ხელიდამ არ დამიგდია, ყოველ დღე დიდის ყურადღებით ვადევნებდი თვალსა. გაზეთი ჩემთვის პირველ საჭიროებად გარდაიქცა, ერთს დღეს ვერ გავძლებდი უგაზეთოდ. გაზეთის წყალობით ვიძენდი მე ცოდნას, გაზეთის შემწეობით ვტყობილობდი ბევრს ამბავს, რომელიც საჭიროა კაცისათვის ცხოვრებაში, გაზეთითვე ვირკვევდი ჩემს გრძნობას და სულიერ მოთხოვნილებასა. მე ბედნიერ დღეთ ვთვლი იმ დღეს ჩემს სიცოცხლეში, როდესაც მე პირველად გაზეთი წავიკითხე. ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. მე მოვალედ ვთვლიდი ჩემს თავსა, ღირსეულად მედღესასწაულნა ეს დღე თქვენის თანადასწრებით.“

ბევრს, შეიძლება, სასაცილოდ მიაჩნდეს ასეთი უცნაური დღესასწაული. მართალია, კაცი უნდა ინგლისელი იყოს, რომ ასეთი უცნაური დღესასწაული თავში მოუვიდეს და კიდეც აასრულოს. სამწუხაროდ, ისიც-კი მართალია, რომ მხოლოდ ინგლისელს შეუძლიან ასე გარკვევით და კარგად ესმოდეს გაზეთის დიდი მნიშვნელობა.

გაზეთი, თუმცა ნელ-ნელა, გონებას უხსნის, თვალს უხელს, საშუალებას აძლევს კაცსა, თვალი გადაავლოს ქვეყანას, შეიტყოს, რა ტკივილი აწუხებს კაცსა, რა იმედი ახარებს, როგორ მოუწყვია უცხო ქვეყნებში ხალხს თავისი ცხოვრება. რასაკვირველია, ჩვენ ვამბობთ ამას იმ გაზეთებზე, რომელნიც პატიოსნად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, რომელნიც ცდილობენ, რაიმე ცოდნა შესძინონ თავიანთ მკითხველებს, და არა იმ გაზეთებზე, რომელნიც მარტო იმასა ჰფიქრობენ, რომ უმეცრების საკბილოდ, სასიამოვნოდ და შესაქცევად ირჯებოდნენ.

«კაცი, რომელიც გაზეთს არა კითხულობსო—,» ამბობს ერთი რომელიღაც მსწავლული, „მოშლილს, დამდგარ საათსა ჰგავსო.“

თუ ეს მართალია, რამდენი მოშლილი საათი უნდა მოიპოვებოდეს ქვეყანაზე?! მაგრამ შეიძლება ბევრს ეს დიდ დანაკლისადაც არ მიაჩნდეს?!

დონ-იაგო.

გრძლივი თანხმობა სრულიად შესაძლოაო.

> სულთანი ძალიან გულ-ნაკლულად არის დღეს ინგლისელებზეო, განაგრძობს იგივე კორრესპონდენტი. ეხლა ჩვენ იმას-ღა უნდა ვეცადნეთ, რომ მოუსვენარმა უაიტმა კიდევ არ აწეწოს საქმეები და სულთანს ხელ-ახლად გული არ შეუცვალოს ჩვენზედაო.

* * *

რამდენად მართალია გაზ. „Московскія Вѣдомости"-ს კორრესპონდენტი, რომ ვითომ ინგლისსა და ოსმალეთს შორის უსიამოვნობა, განხეთქილებაა ჩამოვარდნილიო, ვერას ვიტყვით...

ამ დღეებში გაზეთებმა გვაუწყეს, რომ შავ ზღვაში ინგლისის სამი სამხედრო გემი შემოვიდა და ოდესასთან გაჩერდაო.

როგორ მოხდა ეს, როდესაც, პარიჟის ხელით-შეკრულობის ძალით, არც ერთს სამხედრო ხომალდს ნება არა აქვს, შავ ზღვაში შემოვიდეს? რას უყურებდა ოსმალეთი, რად გამოუშვა თავის წყლებში?

> ინგლისელებისგან ყველაფერი მოსალოდნელიაო,—ამბობს ამაზედ გაზეთი „Свѣтъ"-ი. ინგლისელები რომ უკან არ დაიხევენ და ყოველ გვარ ხელით-შეკრულობას დაარღვევენ, თუ ეს საჭიროდ დაინახეს, არც ეს არის საკვირველი, ამას დიდი ხანი მივეჩვიეთო. ჩვენ მხოლოდ ის ვერ გაგვიგია, ოსმალეთმა როგორ მისცა ნება, რომ ინგლისელებს ასეთი უკანონო საქმე ჩაედინათ? იმ ოსმალეთმა, რომელსაც დიდის სახელმწიფოებისაგან დავალებული აქვს, ბოსფორი დაიცვას და შავ ზღვაში სამხედრო ხომალდები არ შემოუშვას მშვიდობიანობის დროსაო.

ეს გარემოება აშკარად გვიმტკიცებსო, განაგრძობს იგივე გაზეთი,

> რომ ოსმალეთს ვერ შეუძლიან თავის მოვალეობის ასრულება და ამიტომ ჩვენ თვითონ უნდა ვიზრუნვოთ ამ საქმეზედ, ჩვენ თვითონ უნდა ვეცადნეთ, რომ შემდეგში ასეთი ამბავი აღარ მოხდეს, როგორც სამხედრო ხომალდების შემოსვლა შავ ზღვაში მშვიდობიანობის დროსაო.

ნუ თუ მართლა ინგლისელები შავ ზღვაში იმიტომ შემოვიდნენ, რომ ოსმალეთს იმდენი ძალა არა აქვს, თავის მოვალეობა აასრულოს? ვეჭვობთ...

* * *

შეუძლიან ბუზს რაიმე სამსახური გაუწიოს კაცსა თუ არა? აი გაზეთ «Новости»-ში რას გვიამბობენ ამის შესახებ:

> ნიუ-იორკში, ამერიკაში, ერთს სახლში რაღაც საზარელი, გახრწნილის გვამას სუნი ისმოდა. სახლში მცხოვრებნი საშინლად შეაწუხა ამ სუნმა; მთელი სახლი მოჩხრიკეს, მაგრამ ვერა გაიგეს-რა, რისაგან იყო ეს სუნი. იატაკის ფიცრებიც კი აშალეს, მაგრამ მაინც ვერა აღმოაჩინეს-რა. სუნი კი უფრო-და-უფრო მატულობდა. მდგმურებმა არ იცოდნენ, რა ექმნათ... ამ დროს შენიშნეს, რომ ოთახში შემოფრინდა ორი მწვანე ბუზი, ის მწვანე ბუზი, რომელიც ზაფხულობით იმ ადგილებს ეტანება, სადაც საქონელი დგას. ბუზებმა ცოტა ხანს იფრინეს ოთახში, და დასხდნენ იატაკზე, იმ ადგილს, სადაც პატარა ხვრელი იყო. სახლში მცხოვრებნი მიხვდნენ, რომ აქ სწორედ უნდა იყოს რამე და სუნიც აქედამ უნდა მოდიოდესო. აჰხადეს მართლა ფიცრები და დაინახეს ერთი დიდი მკვდარი თაგვი, რომელიც თითქმის სრულიად გახრწნილიყო.

კარგი იქნებოდა, ცალკე „ბუზების სანიტარული კამისია" დაეარსებინათ. იქნება ამ კამისიას უფრო მეტი სამსახური გაეწია საზოგადოებისთვის, ვიდრე სხვა სანიტარულ კამისიებსა?!

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბები)

ნელ ნელა და დღითი-დღე ტფილისი უწინდელს ტფილისს ემსგავსება, ძველს სახეს და გარეგნობას ჰლებულობს. ზაფხულის სიცხისა და მტვერისა გამო გადახიზნულნი მოაგარაკენი ბრუნდებიან თავიანთ სახლებში, დაცარიელებული და გავერანებული ქუჩები ივსება ხალხით, მომაკვდინებელის სიჩუმის და მყუდროების მაგიერ ისმის აქა-იქ სიცილი, ხარხარი, ლაპარაკი... ბაღების პატრონები მიყუჩდნენ, თითქო იგრძნეს რაღაც უბედურობაო, თეატრები კი გაიმართა და მოქმედობს ან და ემზადება „სასეზონოდ"... ყველამ იგრძნო ზამთრის მოახლოვება, სხვათა შორის ცამაც, რომელიც რაღაც ხშირ-ხშირად და დაჟინებით იბურება თავის ნაცრის-ფერის სამოსელით. „დაგვბერა ქარმან სასტიკმანც" და შემოდგომის წვიმებმაც მოგვიძღვნა თავისი პირველი სალამი... ერთის სიტყვით, ერთი-ორი კვირა კიდევ და ჩვენ ყველანი პოეტთან ერთად ვიტყვით, რომ

„დაგვიზამთრდა, სუსხმა დაჰკრა,
ტკბილ-ტაროსი შეგვეცვალა
და უწყალო ქარიშხალმაც
აირკვეცა თვისი ძალაო",—

თუმცა ღმერთმა ხომ იცის, რომ ცა არაოდეს არ ყოფილა ჩვენი მწყალობელი და არც უნებივრებიართ ტკბილის ტაროსებით...

* * *

ეჰ, მაგრამ ცა მისთვისაა ცა და მისთვისაა გადაჭიმული ასე მაღლა, რომ მედიდურად მოგვეპყროს მის ქვემო მყოფთ და არ გვაღირსოს თავის ყურადღება. მე არც ვამტყუნებ ამაში... იმისთანა მოწყენილობაა ამ დასაქცევ ქვეყანაზე, იმდენი სულელობა და თავხედობაა ირგვლივ, რომ ცა კი არა, მეც უმოწყალო თვალით ვუყურებ მის არე-მარეს... და არა თუ მე,—ყველა, ვინც გნებავსთ!.. მაინც ამისთანა უფერული, ამისთანა უგემური ცხოვრება მართლა რომ ძნელი წარმოსადგენია მიუჩვეველის კაცისათვის. სხვას დაეხსენით, საქმე არა გაქვს კაცს, ვერაფერზე დაგიმყარებია ჭკუა და გონება! თუ გნებავსთ, ჰო, საქმეც არის, მაგრამ რა საქმე? —საქმე არ-საქმიანი, თუ შესაძლოა ვსთქვათ ასე. ალ—ვი, მაგალითად, ძველებურად ჰქსოვს მახეებს და აბამს შიგ გამვლელ-გამოვლელთ, სიღნაღის მოქალაქე, ბ-ნი კ—ვი ძველებურად „ქველ-მოქმედობს" („ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა ულმთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა და საჯდომელსა უსჯულოთასა არა დაჯდა.") და ეძებს „ტიტულებს", მევაზეთები ადრინდელად აჰრიჰინებენ აჰი-ბაჰიას, ადვოკატები ლაგლაგობენ უთავბოლოდ, მკურნალები გვგზავნიან „ადგილსა მას მწვანვილოვანსა" და სხვანი-და-სხვანი. ყველანი თითქო რაღაცას ვაკეთებთ, მაგრამ საქმე კი არსად სჩანს და თუ სჩანს, იმისთანა, რომ გამოსაჩენიც არ არის...

* * *

— ამისთანა უმართებულო დროსო, მითხრა ერთმა მართებულმა ვინმემ,—ორი-ღა გასართობი დარჩენია კაცსო: ან უნდა მიუჯდე ნუნუას და „სთვრე, დრო გაატარო ღვინითა", ან და აედევნო „ტიურნიურიანებს" და „ატრფო ვარდსა გლახ-გული, სურვილით ცნობა კარგული." მაგრამ, ვაი რომ ეს გასართობნიც ცოტა არ იყოს გაგვილაყდნენ ამ ბოლო დროს. ნუნუა—იოხ! მისთვის რომ რაღაც უხილავმა ეშმაკმა მიაყარა ყურძენს ნაცარი და „ტიურნიურიანები" თუმცა კვლავაც „ტიურნიურიანობენ", მაგრამ ეხლა უფრო მეტად გვაყრიან ნაცარს თვალებში, ვინემ ეს უწინ ჰქონდათ მიღებული ჩვეულებად.. დიაღ, ბატონებო, და განსაკუთრებით თქვენ—სახე-ელფერნო მანდილოსანნო!—იმდენს ხანს ნუ აგტკივდებათ ნურასფერი, სანამ ქვემორე ამისა ხელის მომწერი არ აჰყვეს „ტიურნიურიანებს" და, ტრფობის ცეცხლით აღგზნებულმა, არ უთხრას რომელსამე „მრისხანესა, წარბ-შეხრილსა:"

„წარბთა მტევრით თვალთ მაჩრდილო,
გაჯეები შემიბრალო-ო."!..

შორს მათი „შებრალება", მტერს მათი ალერსი, და მათგან მინიჭებული ნუგეში!!!..

* * *

მე ვიცი, ბატონებო, რომ ამ მკვახე სიტყვებისა გამო მანდილოსნები ამხედრდებიან ჩემს წინაამდეგ და მიძიებენ შურს. ამისათვის თქვენ, როგორც ჩემივე სქესის ადამიანებმა, უნდა მექმნეთ „მწედ და ფარად" და უნდა წაუკითხოთ მათ შემდეგი ერთის „სარკმელ ქვეშ მდგომ პოეტისაგან" გამოგზავნილი

ბალადის ნაწყვეტი:

„იყო და არა იყო-რა, იყო ერთი ქალაქი, სად გრაფი არ გრაფობდა, კნიაზი არ კნიაზობდა, ოქროს ჩარდახი არ ოქროს ჩარდახობდა, სად მწყემსი არ მწყემსობდა და მცხოვარნი ვიდოდიან უგზო-უკლოდ... იყო ერთი ქალაქი!..

— იყო ამ ერთს ქალაქში
ერთი მანდილოსანი,
ჭრელა-ჭრულა გულითა,
შავ-თეთრ-ყვითელ-სოსანი,—
იყო იმ ერთ ქალაქში
ერთი მანდილოსანი!..

* * *

— ჰყავდა მანდილოსანსა,
ტრფობის ალით მმოსავსა,
სატრფო მტრფობი კრთომითა,
სულ ტკაველი ზომითა,—
ჰყავდა ალით მმოსავსა,
სატრფო მანდილოსანსა!..

* * *

— მაგრამ მოხდა—წავიდა
სატრფო გულის ნუგეში,
წავიდა და ჩაიდვა
ხუთი წიგნი უბეში
—ფიცი მტკიცი ნდომისა
სატრფო მანდილოსნისა,—
გესმისთ?—ფიცი ნდომისა,
სატრფო მანდილოსნისა!..

* * *

— წავიდა და მოვიდა,
მოვიდა და რა ნახა?
გულ-ფერადა „ლულუნა",
ვინც რომ სატრფოდ დასახა!
გვერდით უჯდა მას ეხლა
ტრფობის ეშხით მწყურვალი,
მხარ-ბეჭებში ჩაფსკვნილი,
ტლანგი ვინმე მკურნალი!
იჯდა ის და მღეროდა:
„ჰიარი-ჰიარი-ჰარალო!"
ვიშ, ვიშ, ტრფობის საგანო,
სატრფო მანდილოსანო!..

* * *

— ვიშ, ვიშ, ტრფობის საგანო,
სატრფო მანდილოსანო!
აგერა მაქვს უბეში
ჩემი სვე და ნუგეში,
წიგნი ათი რიცხვითა,
სავსე ფიცით მტკიცითა,
შენის ფიცით, მგოსანო,
ჩემო მანდილოსანო! და სხვა.

„და სხვას" მისთვის ვსწერ რომ, საუბედუროდ, პოეტს დაზარებია დანარჩენის ამბის გალექსვა. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ ამბის ბოლო უფრო საინტერესოა თურმე, ვინემ დასაწყისი. მაგალითად, როგორც მოგვითხრობს ისტორია, როცა ორივე მიჯნურები შეყრილან ერთად და მოუნდომებიათ გამოკვლევა: ვის მათგანს უფრო დიდი უფლება აქვს „სატრფო მანდილოსანზე" და ამ საგნის ასახსნელად გამოუმზეურებიათ ეგრედ-წოდებული „საიდუმლო ბარათები",—აღმოჩენილა, რომ ზემოხსენებულს მანდილოსანს ერთს დღეს, ერთს საათში და ერთ-გვარ ქაღალდზე უწერია ორივესთვის ერთგვარი დასანაცრებელი წერილები...

— რისთვის ჰყავით ეს ქალბატონოვო? უკითხავთ გაოცებულ მიჯნურებს.

— მისთვისო, არხეინად უპასუხნია მას, ერთი რომ წასულიყავ,—მეორე მზად მეყოლებოდაო. ახლა სახელმწიფოებსაც ორნაირი ჯარი ჰყავსთ: მოქმედი და სარეზერვოო და მე რა სულელი მნახეთ, რომ ერთს დაგჯერდებოდითო და წინ-დაწინ არ დავიკავებდი თადარიგსაო!..

— О, женщины, женщины! ничтожество вамъ имя-о! დიდიხანია რაც სთქვა ერთმა ჰკვიანმა კაცმა და სთქვა სწორედ რომ სამართლიანად.

ილია ხონელი

## უცხოეთი

### აღმოსავლეთის საქმე.

— სოფიის კორრესპონდენტი „Deutsche Zeitung"-ისა ამბობს, რომ პრინც ალექსანდრეს წასვლის გამო სოფიაში არავითარი აღრეულობა არ მომხდარაო. ჯარი დამშვიდებული იყო, რადგან, როგორც გავიგეთ, ჯარის-კაცნი დარწმუნებიათ, რომ «მთავარი სამის თვით გაემგზავრა სამზღვარ-გარეთ და შემდეგ ისევ ბოლგარიაში დაბრუნდებაო». ამდენის საქმეებისა გამო სამხედრო მინისტრს ნიკოლაევს დაუწყებია და ქალაქ გარეთ მყოფ ჯარებისთვის არ შეუტყობინებია, რომ მთავარმა ტახტი უარ-ჰყოო. საინტერესოა აგრეთვე გავიხსენოთ, რომ მთავარ ალექსანდრეს ნება მიუცია 1-ლ ალექსანდრეს პოლკის ოფიცრებისთვის, ჯერ-ჯერობით ნუ ახსნით „ეპოლეტებიდგან" სათაურს ასოს „ა"-ნსაო, რადგან ჯერ არავინ იცით, სვალინდელი დღე რას მოიტანსო.

— გაზ. „Gaulois"-ში დაბეჭდილია წერილი ვიღაც „უნგრიელისა". სხვათა შორის «უნგრიელი» მოგვითხრობს, რომ ამ ჟამად ავსტრიის საქმე უფრო კარგად არისო. ალექსანდრე ბატტენბერგის გადაყენებით შეშინებულნი სერბია და რუმანია ავსტრიას მიემხრობიანო. ასე კარგად არის ავსტრიის საქმე, მაგრამ გამოიყენებს, თუ არა ამას ავსტრიაო? უბედურება იმაშია, რომ რუსეთსა და საფრანგეთს შუა მომწყვდეული გერმანია ცდილობს მშვიდობიანობა დაიცვასო. ამ სიტყვებით დაასკვნის თავის წერილს „უნგრიელი": სანამდე სლავიანებისა და ნემეცების შორის თანხმობა, ევროპიის მშვიდობიანობას არა დაარღვევსო, მაგრამ ისიც ძნელად სათქმელია, მოიგებს რასმე თუ არა ავსტრია ამ მშვიდობიანობითაო. არას დროს უნგრიას სლავიანებზე უარესი მტრები და ევროპას—საუკეთესო მეგობრები არა ჰყოლიაო. სლავიანები მხოლოდ იმიტომა ჰფიქრობენ აღმოსავლეთში ბატონობას, რომ უფრო დაუახლოვდნენ დასავლეთსაო.

— გაზ. „Times"-ში დაბეჭდილია წერილი რომის კორრესპონდენტისა იმაზედ, თუ რა გაჭირვებულს მდგომარეობაშია ინგლისი აღმოსავლეთის საქმეების გამოო: «რა უნდა ჰქმნას ინგლისმაო»,—კითხულობს კორრესპონდენტი და აი როგორ გვიხატავს ინგლისის მდგომარეობას აღმოსავლეთის საქმეში: —თუ ინგლისი სულთანს მიემხრობა და დაიცავს სულთანის ინტერესებს, კარგს არ იზამს, რადგან ქომაგი შეიქმნება ისეთის სახელმწიფოსი, რომელიც ურიგოდა და უწესოდ განაგებს თავის საქმეებს და შევიწროებაში ჰყავს მკვიდრნიო. ამას არც ერთი არ მოუწონებს და ბოლგარიის მკვიდრიც წინააღუდგება ინგლისს იარაღით. თუ მკვიდრს მიემხრობს, მკვიდრის ჩივილი დააკმაყოფილოს და მათი სურვილი აასრულებინოს ოსმალეთს, მაშინ ოსმალეთი რუსეთისაკენ გაიწევს და რუსეთს შეუერთდება. ასე რომ, თუ ინგლისმა ომი დაიწყო, ან უნდა ოსმალეთი დაიცვას და ეხლანდელი ბოლგარიის მართვის წესები და ან ბოლგარიას უნდა გაუწიოს მფარველობა და მაშინ რუსეთსა და ოსმალეთს ერთად ეომოს. თუ ერთს გზას დაადგა, ბოლგარია ჩაუვარდება ხელში რუსეთს და თუ მეორე გზას—ოსმალეთს მტრად გადაიკიდებს და ინგლისს კი არც ერთი ესიამოვნება და არც მეორე...

## ბიბლიოგრაფია

### ალავერდის სობორის ხელთ-ნაწერი სახარება

(შემდეგი*)

არის კიდევ სხვა ოთხ-თავი, რომელიც უნდა ეკუთვნოდეს მეთორმეტე საუკუნესა. ამას აქუს წარწერა ესრეთი: ესე საცნაურ იყავ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდა ოთხ-თავი ახლად გვითარგმნია ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთაჲთა და ბერძულითა სახარებითა და შეგვიწამებია ფრიადითა გამოწულილვითა და ვინცა ვინ დასწერდეთ, ვინაცა აქა ჰპოოთ, ეგრე დაწერეთ, თუ ამისაგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ, ღუთისათვის სიტყუასა ნუ ჰსცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ, და თუ არა, რაჲმე გაბუნდეს, ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირუშლითგან წმინდად თარგმნილნია და კეთილად, ხან მეტნიცა, და საბა წმინდურნიცა, მუნით დაწერეთ და ღუთისათვის ერთმანერთსა ნუ გაჰრევთ და გლახაკისა გიორგისათვის ლოცვა ჰყავთ, რომელმან ესე ვთარგმნე.

გამოცხადება იოანე ღუთის მეტყველისა უნდა ეკუთვნოდეს მეათე საუკუნის მწერლობასა. ამაში არიან მინიატურით ნახატნი მაგ. 389 გვერდზედ არის მფრინველი, 390-თევზი, 404 გვ. თევზი და უწერია თალასიკონ. 405 გვ. არის გამოხატული მფრინველი წითელის ფეხებით, 420 და 421 გვ. მფრინველია, 436 გვერდ. ტყუპი მფრინველია ზურგ შექცევით, ერთს თავი აქეთ აქუს, მეორეს იქით.

---

*) იხ. „ივერია" № 193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თთვენი არის ხელთ-ნაწერი მშვენიერის მხატრობით ხუცურად. 31 გვერდზედ არის დახატული ქეთევან დედოფალი. 73 გვ. სვეტი ცხოველი და ორი სხვა სახე, 99 გვ. კიპრიანე და იუსტინე; 100 გვ. დიონოსე არეოპაგიელი, 101 გვერდ. იოროთე ათინელი, 102 გვ გრიგოლ ხანცთელი და ხარიტინა, მოციქული თომა, სერგი და ბაქოს. 103 გვ. წმ. პელაგია, იაკობ ალფესი, ანდრონიკე და ცოლი მისი ათანასია, ევლამპი და ევლამპია, ფილიპე და თეოფანე აღმსარებელი, 104 გვ. პროვო, ტარახო და ანდრონიკე.

ოთხ თთვენის (იანვრის, ფებერვლის, მარტის და აპრილის) ბოლოს აწერია წვრილად ხუცურის ასოებით: სრულ იქმნა ხელითა ჩემ ცოდვილის ზაქარია ქალაშვილისათა ოთხი თვენი იანვარი, ფებერვალი, მარტი, აპრილი და სრული ზატიკი: ვინც მიემთხვევნეთ წმინდანო მამანო შენდობას ბრძანებდეთ ღუთის გულისათვის, რაოდენ ძალ მედვა სიკეთეს ვეცადე, თუ რამე დამეშავებინოს ნუ დამწყევთ, ქრისტეს სიყვარულისათვის, არამედ მომიხსენეთ. ცოტა ქვეით სწერია: ეჰა ალმოცენებულო ყოვლად მშვენიერო და კეთილ ხეო ნაყოფიერო, დანერგულო მდინარესა მას თანა სულისა წმიდისასა, რომლისა რტონი გარდაემატნეს ყოველთა კიდეთა ქუეყანისათა და განისუენებენ მისდა ყოველნი მსახურნი სამებისანი, რომელი ეგე დავშუერ ღუთის მსახურებისათვის. და მე მუშაკსა ამისსა მლუდელ მონაზონს ზაქარია ქალაშვილს მექმენ შემწე და მომტევებელ ცოდუათ ჩემთა, რამეთუ თვით შენვე უწყი ვითარი იყო სურვილი შენი გონებასა ჩემსა. დაიწერა წიგნი ესე სრული საწელიწადო ბრძანებითა ამბაჲ ალავერდელ ნიკოლოზისათა და წარსაგებელითა საფასისათა ბატონის შვილის მარიამ ყოფილის მაკრინესითა, საუკუნომცა არს ხსენება მისი ქორონიკონს უბ-სა (1714), ამავე თთვენს თავში მწითლურად აქუს წარწერა ესრეთი: მხედართა შორის მთავარო და მოწამეთა შორის მხნეო ღუაწლისა მძლეო გიორგი, მწერალი ასო მთავრულისა ამის ბატონის შვილი მარიამ მოიხსენე წინაშე ღუთისა, რომელი დავშუერ თვით ხელითა ჩემითა ამინ.

მეორე ნაწილს აწერია: სრულ ეჰყავ ნებითა ღუთისათა და შეწევნითა დიდებულისა წმიდის გიორგისათა სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბერი, მე სულითა გლახაკმან და ხორცითა უღირსმან ქუემთრევმან ცოდვათა შინა ყმამან და მსასოებელმან მთავარ მოწამის გიორგისამან, რომელ არს კახთ მეფისა სამარხოჲ ალავერდს, ძმან მდიან მგალობლისამან, თვით მგალობელმან დიმიტრი, ბრძანებითა და წარგებითა საფასეთათა ჩოლოყაშვილის კახეთის სახლთხუცის ედიშერისათა და მეუღლისა მისისა მეფის ჰერაკლეს ასულის ბატონის შვილის მარიამისათა, საუკუნომცა არს სახსენებელი მათი. ხოლო ნებითა ბიძისა მათისა ჩოლოყაშვილის ამბაჲ ალავერდელის ნიკოლოზისათა, მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი, ხოლო დადებულ იქმნა შეწირვით ალავერდს საუკუნოდ სახსენებლად ამათდა, რომელთა იხილოთ ნაშრომი ესე ჩემ მიერ, შენდობით ხსენებულ მყავთ დიმიტრი და რომელმან ხელ ჰყოს გამოხუშბად ამისდა წყეულ იქმენინ, ვითარცა იუდაჲ და შეჩუენებულ იყავნ საუკუნოდ ამინ. ამასვე თავში აქუს ასო მთავრული, როგორც ზევით და ჩაწერილია წვრილად: ასო მთავრულისა ამის მწერალი ბატონის შვილი მარიამ მოიხსენე უფალო უკუნისამდე.

ძილის პირებს, რომელნიც არიან დაწერილნი ხუცურად ნოტებით, აწერია ბოლოს: მეუფეო ქრისტე მრავალ ჟამიერ ჰყავი მამა ჩვენი ონოფრე. დაიწერა წიგნი ესე ძილის პირნი ხელითა ცოდვილის ოთარ ყოფილის იოანესითა, უდაბნოსა დავით გარესჯისასა მონასტერსა იოანე ნათლის მცემელისასა, უცბად წერისათვის ნუ მწყევთ გევედრები, ლოცვასა ჰყოფდით ჩემთვის და მშობელთა ჩემთათვის, რათა ევედრებითა თქუენითა ვჰპოოთ განსვენება რაჟამს გალობდეთ და ხმობდეთ ჩვენ მიერ ნაშრომსა ამას შინა ალილუია.

ხუცურად ნაწერს კონდაკს აწერია ბოლოში: ბრძანებითა კაცისა სახიერისა და სარწმუნოსა ამბაჲ ალავერდელისა ნიკოლოოზისათა, ჩუენ ცოდვილმან დი უღირსმან ნიკოლოოზ, ძმან ენისელდ მოურავისამან, სასოებითა მოწამეთა მთავრისა გიორგისათა დავსწერე კონდაკი ეპისკოპოსისა რიგითა ანუ მკუდართა დაფლვისა წესითა. აწე ვინცა ამას ჩემსა ნაშრომსა იხილვიდეთ, ლოცუასა ჰყოფდეთ, და ვინცა სწერდეთ ვითა აქა ეწეროს თქუენცა ესრეთ დასწერეთ და ნუ უგულებელს ჰყოფთ უღირსებასა ჩემსა. აღესრულა და სრულ იქმნა წიგნი ესე უდაბნოსა მას გარესჯისასა მონასტერსა წმიდისა მამისა ჩუენისა დოდოსასა.

## დეპეშა

12 სექტემბერს

**ვარშავა.** ყველას, ვინც რუსეთში მოდის და ავსტრიაზე გამოვლის, მოწმობას სთხოვენ იმის დასამტკიცებლად, რომ არ ყოფილა იმ ადგილებში, სადაც ხოლერა არის.

**ვენა.** ბარონ კაულბარსი 10 სექტემბერს ვენიდამ წავიდა სოფიაში და ამ თვის თორმეტ რიცხვიდამ თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგება.

**სტამბოლი.** სულთანმა გუშინ ხელმეორედ ინახულა ინგლისის პრინცები—პრინცები თითქმის ერთს საათს დარჩნენ სულთანთან. ედინბურგის ჰერცოგს სულთანმა უბოძა ალმასებით შემკული „ოსმანიე“-ს ორდენის გარსკვლავი, პრინცს გიორგის კი კომანდორის ნიშანი იმავე ორდენისა.

**სოფია.** შუშიანობის წესი მოიხსნება ათის დღის წინად არჩევანებისა, რომელიც 28 სექტემბრისთვის არის დანიშნული. ამ საშუალებით მთავრობას ჰსურს წინადვე თავიდამ აიცილოს უწესობა, რომელიც შესაძლოა მოხდეს, თუ ერთბაშად მოიხსნება შუშიანობის წესი; რადგანაც ხვალიდგანვე იწყება არჩევანებისთვის მზადებას.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

### სექტემბერი 30 დღით არის

**13 დღე შაბათი.** განახლება ტაძრისა ქრისტეს აღდგომისა წამება კახეთის წმ. დედოფლის ქეთევანისა, 1616 წ. სომეხ. ჯვართ-ამაღლების წინა-დღის დღესასწაული-ნავაკატიკი და ნახატონაქი. ყაზი-ყუმუხელთა და ლეკთა აჯანყება მოახდინეს სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ. დაეცნენ მდიდარს სავაჭრო ქალაქს შემახას, გასცარცვეს და დაჰხოცეს ვაჭარნი ქალაქისა და მათს შორის სამასი კაცი რუსი. მარტო რუსების ზარალი იყო ხუთი მილლიონი მანათი. ეს უბედურება იყო მიზეზი სხვათა შორის, რომ იმპერატორმა პეტრე I-მა გაილაშქრა კავკასიაში შეურაცხმყოფელთა დასასჯელად, რადგანაც შაჰი ისე სუსტი იყო, რომ ვერას არიგებდა მათ წინააღმდეგ, 1712 წ.—პასკევიჩმა სძლია სპარსებს განჯაში, 1827 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—38, ტფილისში მზე ამოდის 5—50, ჩადის 5—53; მთვარე ამოდის 2—47, ჩადის 4—10.

**14 დღე კვირა.** ამაღლება წმ. პატიოსნის უფლის ჯვარისა. მარხვაა. ამ დღეს და წინა დღეს ალავერდის მონასტერში, თელავს ახლო, წმ. გიორგის სახსოვრად ბევრი მლოცველი იკრიბება სარწმუნოების განურჩევლად და დიდი ბაზრობა იმართება ხოლმე. კათოლიკ. წმ. ქალწ. მარიამ. სომეხ. ხაჩვერაც (ამაღლება ჯვარისა). სპარსეთის შაჰმა აღა-მაჰმად-ხანმა ტფილისი აღაოხრა, 1795 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—51—13. ტფილისში მზე ამოდის 5—51, ჩადის 5—51; მთვარე ამოდის 3—57, ჩადის 4—51.

**15 დღე ორშაბათი.** დიდ-მოწ. ნიკიტასი, ღირს. აბბა იოსესისა ალავერდელისა, 570 წ., რომელიც დამარხულია ალავერდის მონასტერში, თელავს ახლო. კათ. მე-8 დღე ყოვლად წმ. ქალწ. მარიამის დაბადებიდამ. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50—57. ტფილისში მზე ამოდის 5—52, ჩადის 5—50; მთვარე ამოდის 5—14, ჩადის 5—29.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 2½ |
| » » 2 » | 2 » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 4½ » |
| » » 2— | 3 » |
| » » 3 » | 2½ » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 4½ » |
| მე-2 ხარისხისა . . | 3½ » |
| მე-3 — . . . | 3 » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 » |
| « » 2 | 6 » |
| სუკი . . . . | 13 » |
| ცხვრის ხორცი . . . | 6 » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 35 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 35 |
| ავჭალა. . . | 8 | 52 | 8 | 55 | ქობულეთი . | 9 | 25 | 9 | 28 |
| მცხეთა. . . | 9 | 13 | 9 | 21 | ნატანები . . | 9 | 54 | 9 | 57 |
| ქსანი . . . | 9 | 39 | 9 | 41 | სუფსა . . . | 10 | 21 | 10 | 27 |
| კასპი. . . . | 10 | 6 | 10 | 9 | ლანჩხუთი . | 11 | — | 11 | 3 |
| გრაკალი . . | 10 | 29 | 10 | 31 | ნიგოითი . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| **გორი** . . . | 10 | 54 | 11 | 4 | საჯავახო. . | 11 | 39 | 11 | 41 |
| ქარელი . . | 11 | 33 | 11 | 36 | **სამტრედია** | 11 | 56 | 12 | 15 |
| გომი . . . | 12 | — | 12 | 4 | კოპიტნარი . | 12 | 35 | 12 | 37 |
| **ხაშური** . . | 12 | 21 | 12 | 41 | რიონი . . . | 1 | 7 | 1 | 20 |
| სურამი . . | 12 | 53 | 12 | 56 | აჯამეთი . . | 1 | 32 | 1 | 34 |
| ფონი . . . | 1 | 24 | 1 | 27 | **ყვირილა** . | 2 | 11 | 2 | 26 |
| **ბეჟათუბანი.** | 2 | 14 | 2 | 34 | ძირულა . . | 3 | 4 | 3 | 6 |
| მარელისი . | 3 | 3 | 3 | 5 | ბელაგორი . | 3 | 33 | 3 | 36 |
| ბელაგორი . | 3 | 32 | 3 | 35 | მარელისი . | 4 | 3 | 4 | 5 |
| ძირულა . . | 4 | 2 | 4 | 5 | **ბეჟათუბანი** | 4 | 34 | 4 | 54 |
| **ყვირილა.** . | 4 | 43 | 4 | 58 | ფონი . . . | 5 | 41 | 5 | 44 |
| აჯამეთი . | 5 | 35 | 5 | 37 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . | 6 | 12 | 6 | 15 |
| **რიონი.** . . | 5 | 49 | 6 | 4 | **ხაშური** . . | 6 | 27 | 6 | 42 |
| კოპიტნარი . | 6 | 34 | 6 | 36 | გომი . . | 6 | 59 | 7 | 3 |
| **სამტრედია** . | 6 | 56 | 7 | 16 | ქარელი . . | 7 | 27 | 7 | 30 |
| საჯავახო. . | 7 | 31 | 7 | 33 | **გორი** . . . | 7 | 59 | 8 | 9 |
| ნიგოითი . . | 7 | 56 | 7 | 59 | გრაკალი . . | 8 | 32 | 8 | 34 |
| ლანჩხუთი . | 8 | 10 | 8 | 14 | კასპი. . . | 8 | 54 | 8 | 57 |
| სუფსა . . . | 8 | 47 | 8 | 55 | ქსანი . . . | 9 | 22 | 9 | 24 |
| ნატანები . . | 9 | 19 | 9 | 22 | მცხეთა . . | 9 | 42 | 9 | 48 |
| ქობულეთი . | 9 | 48 | 9 | 51 | ავჭალა. . . | 10 | 6 | 10 | 8 |
| **ბათუმი** . . | 10 | 41 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 25 | 10 | 55 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | დღისით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 15 | სურამი. . . | — | — | 2 | 35 |
| ავჭალა . . | 3 | 38 | 3 | 41 | **ხაშური** . . | 2 | 47 | 3 | 2 |
| მცხეთა . . | 4 | 6 | 4 | 16 | გომი . . . | 3 | 26 | 3 | 31 |
| ქსანი . . . | 4 | 42 | 4 | 45 | ქარელი . . | 4 | 5 | 4 | 12 |
| კასპი . . . | 5 | 20 | 5 | 25 | **გორი** . . | 4 | 53 | 5 | 8 |
| გრაკალი . . | 5 | 53 | 5 | 56 | გრაკალი . . | 5 | 40 | 5 | 45 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** . . . | 6 | 28 | 6 | 43 | კასპი . . . | 6 | 13 | 6 | 19 |
| ქარელი . | 7 | 24 | 7 | 29 | ქსანი . . . | 6 | 54 | 6 | 57 |
| გომი . . . | 8 | 3 | 8 | 7 | მცხეთა . . | 7 | 23 | 7 | 33 |
| **ხაშური** . . | 8 | 31 | 8 | 46 | ავჭალა . . | 7 | 58 | 8 | 1 |
| სურამი . . | 8 | 58 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დედა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, მეხუთე გამოცემა, შეცვლილი და შევსებული, დაიბეჭდა და ისყიდება გამომცემელის გრიქუროვის მაღაზიაში. ამ ახალის გამოცემის ანბანი თითქმის ხელ-ახლად არის შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დედანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი საკითხავი წიგნი შევსებულია ახალი სავარჯიშოებით, მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით, და გარდა ამისა შეცვლილია რედაქცია ზოგიერთა წინანდელი მოთხრობისა და ლექსებისა. წიგნის მეორე—საღმრთო ნაწილი იპყრობს პირველის წლის კურსსა ორივე აღთქმის მოთხრობისას, სურათებით საღმრთო მოთხრობები თავდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედების მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზედ ერთი თაბახით, ანუ 32 გვერდით, დიდია; მაგრამ ფასი კი შეუცვლელად არის დარჩენილი. გამამცემლის გრიქუროვის მაღაზია იმყოფება კუკიის ხიდის ყურთან, ბაღის პირ-და-პირ. (5—3)

ინგლისის მაღაზიამ

ახალად მიიღო: ინგლისური კრავატები, კრავატები და აკვნები ყმაწვილებისათვის, ზღვის ბალახი, შოკოლადი, კაკაო, ჩაი, უნაგირები ქალებისა, კაცების და ყმაწვილებისათვის და სხვა მრავალი საქონელი. (10—5)

ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში“. I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—14)

Дозволено цензурою. Тифлисъ 12 сентября, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე